ლენტეხის მუნიციპალიტეტი

სოფელ ლეკოსანდის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაციის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)
SPV-45221100

სატენდერო დოკუმენტაცია

დ. ლენტეხი

2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დანართი **N1**
5. დანართ **N2**
6. დანართი **N3**

1. *ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის*

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის #9 ბრძანების შესაბამისად. (იხ. ვებ.გვ. www.procurement.gov.ge)

1.2. ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 პრედენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია
2.1.1 ფიზიკური პირებისათვის:
პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.
2.1.2 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) რეკვიზიტები (დანართი # 1)
- ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმა და დასახელება;
- იურიდიული და ფაქტიური მისამართი;
- ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;
- საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება და კოდი, ანგარიშსწორების ანგარიში;
- საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა.

ბ) ინფორმაცია სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის წარმოდგენით.
გ) ფასების ცხრილი / ხარჯთაღრიცხვა (დანართი #2)
დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ (დანართი N-3).
- პრეტენდენტს ტენდერის გამოცხადების თარიღამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამურად შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სამუშაოები (SPV45221100-სამშენებლო სამუშაოები ხიდებისათვის) არანაკლებ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებისა. აღნიშნულის დადასტურება უნდა მოხდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების ან შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა N2) სისტემაში ატვირთვით, სადაც გარკვევით უნდა ჩანდეს ობიექტის დასახელება და ფასი, ასევე შემსყიდველის და მიმწოდებლის ვინაობა, დამოწმებული ხელმოწერებითა და ბეჭდებით.
ე) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისთვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).
2.2 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები: არ მოითხოვება
2.3 ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.
2.4 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია. არ მოითხოვება
2.5 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობასთან დაკავშირებით, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული იურდიული პირის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა.
შენიშვნა: დაუშვებელია სამუშაოს წარმოების უფლების გადაცემა მესამე პირისათვის მათ შორის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. ქვეკონტრაქტორსაც უნდა ჰქონდეს შესრულებული ანალოგიური სამუშაოები არანაკლებ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების ნახევრისა. ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა აიტვირთოს სისტემაში.
- გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოებზე დაასაქმოს ადგილობრივი მუშახელი არანაკლებ 70 %-ისა.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:
2.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას დ.ღ.გ-ს გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის გამარჯვებული

მიმწოდებელი დარეგისტრირებული იქნება, როგორც დ.ღ.გ-ს გადამხდელი, ხელშეკრულება გაუფორმდება დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

2.6.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.6.3 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

- საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული იურდიული პირის მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნა, შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე.
- ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

2.6.4 შუალედური გადახდები იწარმოებს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შუალედურ აქტში დაფიქსირებული თანხის შესაბამისად.

- შუალედური აქტებით თანხის გადახდა მოხდება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 70%-ისა.

2.6.4 შესყიდვაში გამოიყენება საავანსო ანგარიშსწორება, სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით. ავანსის მოთხოვნის შეთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო გარანტია მოთხოვნილ თანხაზე, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 10 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

- ავანსის დაკავება მოხდება ეტაპობრივად მიმდინარე ანგარიშსწორების დროს.

2.7 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

2.7.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

სოფელ ლეკოსანდის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია

- ობიექტის ტექნიკური და რაოდენობრივი მაჩვენებლები

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ
I	2	3	4
1	მოეწყოს ხიდის სავალ ნაწილზე ხის უვარგისი ფიცრების და კოჭების მოხსნა	მ3	30
2	დაიგოს ხის 20*10სმ ზომის კოჭები, ბიჯით 30სმ 1) 0.20*0.10*5*78 მ 2) 0.20*0.10*4.2*156 მ	მ3	21
3	დაიგოს ხის წიწვოვანი ჯიშის ფიცარი სავალ ნაწილზე (70*3*0.06) ასევე	მ3	12.6
4	დაიგოს ხის წიწვოვანი ჯიშის ფიცარი სარბენ ნაწილზე (70*0.06*0.10)*2	მ3	8.4
5	მოეწყოს ხის მოაჯირები დამჭერი ირიბანებით 0.9.მ სიმაღლის 140გ/მეტრზე. დახერხილი ხე-მასალა კვეთში ზომებით, კოჭ(0.1*0.1)მ სმ,მოაჯირი (0.12*0.06), ირიბანა (0.1*0.1)მ, (0.12*0.06)მ	მ3	5.1
6	თვალამრიდების მოწყობა 10*20სმ ზომის კოჭებით (70*0.1*0.2)*2=2.8	მ3	2.8
7	III კატ. რუნტის დამუშავება ხელის იარაღებით ხიდია მარჯვენა ბურჯის მოწყობის მიზნით 5*1.2*0.6	მ3	3.6

8	მოეწყოს ხიდისმარჯვენა ბურჯთან ლითონის ფურცლის აკვრა,ზომით 5*1.2*0.1 მ	მ2	6
7	მოეწყოს III-კატ გრუნტის მოჭრა ხელის იარაღებით გაბიონის მოწყობის მიზნით (5*1.5*1.5)	მ3	
8	მოეწყოს გაბიონები სამ სხვადასხვა ადგილას	მ3	52.5

მეორადი მასალები დასაწყობდეს და გადაეცეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას

2.8 მიწოდების პირობები და ვადები:
2.8.1 სამუშაოების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მიწოდების ადგილია ლენტეხის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოფური
2.8.2 ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების შესახებ:
- შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ 1 (ერთი) წელით, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება შემსრულებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.
შენიშვნა: ტენდერი ჩატარდება ახალი მეთოდით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე, რომელიც ორდინალური ტენდერებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ძირითად დროში, რომლის განმავლობაშიც პრეტენდენტს მხოლოდ ერთხელ აქვს უფლება, შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით.
2.9. დამატებითი ინფორმაცია:
2.9.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. წერილობითი მიმართვის შემთხვევაში- ლენტეხის მუნიციპალიტეტი, თამარ მეფის ქ N-24. საკონტაქტო პირი სოსო ლიპარტელიანი ტელ.: 599 85 27 24

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ლენტეხი ———— 2016 წ.

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული *ლენტეხის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი* ---------- სახით და მეორეს მხრივ, ----------, *(შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის* ----------სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA---------- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი,“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **სოფელ ლეკოსანდის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია**

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ფასები

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ***10 კალენდარული დღის*** განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. სამუშაოების მიწოდების ადგილი და ვადა:

6.1. სამუშაოების მიწოდების ადგილია სოფელი ხოფური. სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადაა: 2016 წლის ----------

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) სამუშაოების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს სამუშაოები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში.

გ) უზრუნველყოს სამუშაოების მიწოდება ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნიკური პარამეტრების დადგენილი პრინციპების დაცვით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სტანდარტები

9.1. ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მიღებულ სტანდარტებს.

10. პირგასამტეხლო ხეშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების ***03 %***-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების ***5 (ხუთი) პროცენტს***, შესმსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ***2016 წლის ----------*** ჩათვლით.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
გამგებელი ამირან ჯამბურიძე
_____ _____

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“
ლენტეხის ფილიალი
კოდი: 220101486
ა/ნ № GE95LB0120114216701000
ს/კოდი: 243065560
მის. დ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ. № 24

დანართი № 1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

დანართი N3

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ

№	ობიექტის დასახელება	ღირებულება	დამკვეთი	შენიშვნა